რედაქცია

რუგნისმეიდანზე, მუჯაამბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რაფთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებისა“ „ივერიის“ რედაქციაში. გარე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакціи „Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.


# დროება


გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] რულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.



1 აგვისტოდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ოთხი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი


## ტელეგრამები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**სტამბოლი**, 1 აგვისტოს. გაზეთს „გოლოსში“ იწერებიან სტამბოლიდამ სომხის პატრიარქი ნერსესი მოწამლეს ოსმალეთის მინისტრის აბბედინ-ფაშის სახლში; იმას მიუტანეს მოწამლული ყავა. მოწამლვა, შინ რო დაბრუნდა, მაშინ იგრძნო პატრიარქმა; იმ წამსვე მოიხმეს ექიმები და გადაარჩინეს; მხოლოთ ორი დღე იყო ავათ და ლოგინში იწვა. სტამბოლის სომხები ძალიან აღელვებული და გაჯავრებული არიან ამ გარემოების გამო.

**პეტერბურღი**, 2 აგვისტოს. დღეს წავიდნენ ჩიქიშლიარში ათი დანი მოწყალებისანი; ამათ უფროსად არი გრაფინია მილიუტინისა.

**რაგუზა**, 2 აგვისტოს. ალბანიელთა და ჩერნოგორიელებს ხელ ახლავ მოუხდათ შეტაკება.

**ლონდონი**, 2 აგვისტოს. პარლამენტის სხდომები 11 სეკტემბერს მოისპობა.

**სტამბოლი**, ჰუსსეინ-ფაშის მაგიერად პორტა ჰგზავნის რიზა-ფაშას 17 ივლისის ტრაქტატის აასრულებლად; თუ ეს მინდობილება ვერ აასრულა, მაშინ დულცინიო უნდა გადასცეს ჩერნოგორიას.

რიზა-ფაშა სკუტარის დუბერნატორად დაინიშნა.

**პეტერბურღი**, 3 აგვისტოს. გაზეთს „ბერეგს“ შემდეგი ახალი ამბები გაუგონია: მესამე განყოფილება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან იქნება მიწერილი; შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნება გრაფი ლორის მელიქოვი მაკოვი კი დანიშნული იქნება ფოჩტისა და ტელეგრაფის მინისტრად.

**კიევი**, 2 აგვისტოს. სამხედრო სასამართლომ, გაარჩია პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმე და გადაუწყვიტა პაპოვსა და ივანოვს—ჩამოხრჩობა, იურკოვსკის, დიკოვსკის და ბეცინსკის ოცის წლით კატორღაში გაგზავნა; დანარჩენ დამნაშავეთ სხვა და სხვა სასჯელი.

## რას იღებს სოფლის მღვდელი

ტფილისი, 4 აგვისტოს.

ამ ჟამად, რაკი სოფლის სამღვდელოების მდგომარეობაზედ ლაპარაკია ჩამოვარდნილი, საჭიროება მოითხოვს, რომ ყოველგვარი ცნობა შეკრებილ იქმნას, როგორც სოფლის სამღვდელოების ვალდებულებაზე, აგრეთვე მრევლის ვალდებულებაზე. როდესაც ორისავე ვალდებულება გვეცოდინება, ერთმანერთთან რა გადასახადი აქვსთ, ამით გავიგებთ—რა არის საჭირო, რა არის შესაცვლელი და გასაუმჯობესებელი, რომ გათავდეს და ბოლო მოეღოს გამოურკვეველ და უსიამოვნო მდგომარეობას სამღვდელოებისასაც და მრევლისასაც.

საზოგადოთ სიმართლის თქმა საჭიროა, რომ სოფლის სამღვდელოებაც და სოფლის მრევლიც დიდი ხანია მძიმეს უსიამოვნებაში არიან ერთმანერთთან იმ გარემოების გამო, რომ სოფლის მრევლის და მღვდლის ვალდებულების და გადასახადის დებულება დიდი ხანია დადგენილი, 1819 წელსა.

ცხადია, რომ ამოდენა ხნის განმავლობაში ცხოვრებაში ბევრი რამ იცვალა; სამის იმპერატორის მეფობის დროს ყოველ უწყებაში კანონები დროს და საჭიროების მიხედვით შეიცვალა. სასულიერო უწყებაშიაც კი სხვა-და-სხვა ცვლილება საკმაოდ მოხდა. მხოლოდ სოფლის სამღვდელოების შტატების დებულება დარჩა თითქმის უცვლელი, განსაკუთრებით ისა, რაც შეეხება გლეხების გადასახადს ხორაგეულობით. მართალია, ამ უკანასკნელ წლებში სოფლის სამღვდელოებას პატარა ჯამაგირი დაენიშნა, მაგრამ ხორაგეულობის გადასახადზე ისევ ის წესი და ის ზომა დარჩა, რაც ამ სამოცის წლის წინათ იყო დადგენილი.

მოვიხსენოთ თვით შტატის დებულება დადგენილი, 1819 წელს მიტროპოლიტის თეოფილაქტეს დროს.

**თელავის უეზდში** თვითო საეკკლესიო კრებულში ითვლება ერთი მღვდელი, ერთი მთავარი და ერთი დიაკვანი.

ამათ სასარგებლოდ წელიწადში კომლზედ გადასახადია:

1 კოდი ხორბალი (იფქლი), ნახევარ კოდი ქერი, 1 თუნგი ღვინო, ხუთს კომლზე თითო ბატკანი; ამას გარდა ფულად გადასახადათ სხვაა:

შეძლებულზე—60 კაპ.

შუათანა შეძლებისაზე 40 კაპ.

ღარიბზე — 20 კაპ.

რამდენიმე სოფელი ქერსა და ბატკანს არ იხდის (ზავაზი, ჩიტაანი),

## ფელეტონი

### მოხევეები და იმათი ცხოვრება*)

VI

ჩემს წინა ფელეტონებში შევეხე ყველა იმ პირებს, რომლებსაც რომელიმე დამოკიდებულება აქვსთ მოხევეებთან და რამდენათაც ფელეტონის ადგილი და სხვა-და-სხვა მიზეზები ნებას გვაძლევდა, გაგაცანით მოხევეების მდგომარეობა იმ პირების ხელში. ამ მხრით მე ერთი წილი მოხელეების-ღა დამრჩა აუწერელი და ეს მოხელეები გახლავან მღვდელ-ბლაღოჩინები; იმათთანაც ამ წერილში გაგაცნობთ, რადგანაც მინდა, რომ თქვენ ყოველი მხრით იცნობდეთ იმ ქართველების მდგომარეობას, რომლებსაც „მოხევეებს“ ეძახიან და რომელთაც არა-მცირედი მონაწილეობა მიუღია საქართველოს წარსულს ისტორიაში, და თუმცა ეხლა ცოტაც არის შეწუხებულან, დაცემულან სხვა-და-სხვა გარემოებისაგან, მაგრამ მაინც თავის დროზედ ისინი შეიძლებენ დაგანახონ, რომ იმათში არც ძველებური სიმამაცე მომკვდარა და არც ის აღგზნებული სიყვარული განქრობიათ, რომელიცა ჰქონდა იმათ წინაპარებს თავის სამშობლო ქვეყნისადმი...

მოგახსენეთ, რომ მღვდელ-ბლაღოჩინებზედ მინდა ვილაპარაკო-მეთქი, და ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ ამათს მოხევეებთან დამოკიდებულებასაც არა-მცირედი მოქმედება აქვს მთის ხალხის ცხოვრებაზედ და არა-მცირედს კაცის გამრყვნელს მაგალითებს უჩვენებენ მთის ხალხს თავიანთის ცხოვრებით. იქამდისინ მიიყვანეს ხალხი ამ ზნეობის დამცველებმა, რომ ეს ხალხი ზიზღით უყურებს იმათ ყოფა-ცხოვრებას, მაშინ როდესაც მაგალითი-კი ხალხს იმათგან უნდა აეღო. მ. ხევის ბლაღოჩინმა ითონიევმა, (იგივე ღარიაშვილი, იგივე ბელქაშვილი) თავის პრიხოდის მღვდლებით იქამდინ მიიყვანა საქმე, რომ ახლა კაცი ველარ გაარჩევს—თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნიან მოხევეები?

ქვირის-კვირობამდინ ზარის ხმას ვერ გაიგონებთ და ლოცვას ვერ მოისმენთ. ერთი მაშინ თუ ნახავთ მღვდლებს შემოსილს, როდესაც ფულის მისაღები წესი სრულდება სადმე; მაგალითად: ნათლობაში, ჯვარისწერაში, დასაფლავებაში და სხვა, თორემ უიმისოთ?.. ნუ წარმოგიდგენიათ!.. ზანა გიჟები არიან თავი აიტკიონ?

ან სადა სცალიანთ იმათ წირვა-ლოცვისათვის? მთელი თავისი სიცოცხლე, ერთმანერთის ბიზღილს და ერთმანერთზედ საჩივარს უნდებიან. მემრე უნდა იცოდეთ, რა საძაგლობამდისინ მიდიან. თავიანთის ცილისწამებით ერთმანერთზედ, რომ ყოველი პატივისცემა დაჰკარგოთ იმათი. მაგალითად, ერთს პრიხოდში მღვდელს და დიაკვანს რაღაზედაც დავა მოუხდათ და დიაკვანი აბეზღებს მღვდელს, რომ ეს უკანასკნელი იყო ცუდი ყოფა-ცხოვრების ქალებთან და რადგანაც სიამოვნებისათვის ფულს აღარ აძლევდა, ამ ქალებმა მღვდელი კინაღამ რაღაცა საექო ზორნით დაახრჩესო! მღვდელი აბეზღებს დიაკვანს, რომ ვითომ ეს ცუდი ყოფა-ქცევით იყო ავათ და საექიმო 10 მან. გაიღო!.. ინიშნება ამ საქმეზედ გამომძიებელი, იბარებენ მოწმეებს, ლაპარაკობენ ხალხში, ყველას ესმის ეს ამბავი და წარმოიდგინეთ, თუ რა გავლენა უნდა იქონიოს ამ გვარმა ამბავმა ხალხზედ?!. რა პატივისცემა უნდა იქონიოთ ამის შემდეგ იმ მოძღვრებზედ, რომლებიც მოციქულათ უნდა იყვნენ ჩვენსა და იესოს შუა და აგვიხსნან სახარების სიტყვა?!.

დიაკვანი ჩივის მღვდელზედ, მღვდელ-მღვდელი ბლაღოჩინზედ და ეს კი ორივეზედ ერთად!.. ეს ამბავი შეადგენს იმ ხალხის მთელს ცხოვრების სურათს, რომელთაც მინდობილი აქვსთ ჩვენი გრძნობისა და კეთილ-ცხოვრების გაპატიოსნება, აღზრდა!!. ამათ სამარცხვინოთ, ჩვენ გამოტეხით უნდა ვსთქვათ, რომ ის ხალხი, რომელსაც თითქმის ველურ ხალხათ უყურებენ ბევრით უფრო, ნამუსიანათ, გონივრულათ და პატიოსნათ იქცევა, სანამ მღვდელ-ბლაღოჩინები და თუ ცხოვრებაში მაგალითი ვისმე ასაღები ვისგანმე აქვს, რასაკვირველია, მღვდლებს მოხევეებისაგან და არა მოხევეებს მღვდლებისაგან, როგორც უნდა იყოს.

საყდარში შემოსილი მღვდლები ისეთის უშვერის სიტყვებით ილანძღებიან და არა-იშვიათად კრივსაც გამართავენ ხოლმე, რომ უნებურათა ჰკითხავთ თქვენს თავს:—ეს რა ქვე-

*) იხილე № 161 „დროებისა“.

ზოგი მარტო ბატკანს არ იხდის (ქისტაური).

Თელავის მაზრის სამრევლოში შუათანა ანგარიშით ითვლება 80 კომლი; თუ ამაზე ნაკლები არის, ოთხმოცი კომლისასა ხდილობენ გარდა რამდენისამე სოფლისა, რომელნიც კომლის რიცხვის დაგვარად იხდიან; (წინანდალი 56 კომლი, ჭიპაანი 45, და Თოღნიანი, Ყარაბულახი და Შალაური ორმოცზე ნაკლებნი ორმოცისას იხდიან).

მთელ Თელავის უეზდში იმ შტატის შედგენის დროს (1818 წელს) ითვლებოდა 5,580 კომლი, 72 ეკკლესია და 73 საეკკლესიო კრებული.

2) **სიღნაღის უეზდში** (ქიზიყში საეკკლესიო სახნავ-სათესი ადგილები, ვენახები და სხვა მამულები, რას სამღვდელოთ ხელში ჰქონიათ, ისევ იმათ დარჩათ ანუ მათ ნათესავებსა შესამუშავებლად.

Კომლზე გადასახადია:

1 კოდი ხორბალი,

Ღვინის ნაცვლად ფულად გამოსაღები ერთმავა:

შეძლებულს — — — 60 კაპ.

Შუათანა შეძლებისას— 40 კაპ.

Ღარიბს — — — — 20 კაპ.

Ამას გარდა რაც ადრე შემოსავალი ჰქონიათ მღვდლებს, ისევე უნდა ეძლეოდეს.

Სიღნაღის უეზდში იმავე წლის ჩვენებით ითვლება 4,284 კომლი, 59 ეკკლესია და 63 კრებული.

3) **გორის უეზდში.** Კრებულში ითვლება 1 მღვდელი, 1 მთავარი და 1 დიაკვანი.

Გამოსაღები კომლზე არის დანიშნული სხვა-და-სხვა ზომით: პური, ღვინო, მურინვლეული ან ბატკანი და ფულად გამოსაღები.

Განწესებული ნიხრი (ტაქსია) ფულად:

Ქორწინება 60 კოპ.

Ალსარება და ზიარება 5 კაპ. 10-მდე

Მიცვალებულის პანაშვიდი 2 კაპეიკიდამ 10-დე,

Წირვა და მარხვა მიცვალებულისა ორაოცეულის წირვით 2 მან. და 40 კაპეიკიდამ 4 მანეთამდე.

Შორმოცეულოდ 15 კაპ. 30-მდე.

Ახალ მელოგინის კურთხევა შეძლებულთაგან 10 კაპ., ღარიბთაგან სადილზე მოწვევა.

Ნათლობა 5 კაპეიკიდამ 20-მდე.

Შობას, წყალ-კურთძევას და აღდგომას თუნგი ღვინო, ქათამი, ღორის ნაჭერი და პური.

Მრევლი ითვლებოდა 40 კომლი. Ნაკლებს ორმოცის კომლის გამოსაღები უნდა ეძლია. Მხოლოდ სოფლებს ნადიბურს (28 კომლი) და Ვეთსამანს (34 კომლი) წელიწადში კომლზედ უნდა ეძლიათ 6 თუნგი ღვინო და ნახევარ კოდი სიმინდი. Სოფ. ხევის-ჯვარს (58 კომლი) სიღარიბის გამო მღვდელ-მოქმედებისათვის განწებულს გადასახადს გარდა უნდა ეძლია კომლზე 6 თუნგი ღვინო და ნახევარ კოდი სიმინდი.

Გორის უეზდში ითვლებოდა სულ 4,754 კომლი, 95 ეკკლესია და 95 კრებული.

4) **ტფილისის უეზდში.** Თვითო მთევლში ითვლებოდა 40 კომლი. Კომლზე დანიშნული იყყ:

Ფულად 60 კაპ.,

Კოდ-ნახევარი ხორბალი,

Ნახევარ კოდი ქერი,

1 თუნგი ღვინო,

ხუთს კომლზედ ბატკანი,

Ზოგ სოფელში ღარიბს კომლს უნდა ეძლია 20 კაპ.

Მღვდელ-მოქმედებისათვის სხვა-და-სხვა გადასახადი იყო განწესებული.

Ითვლებოდა ამ უეზდში 740 კომლი, 11 ეკკლესია და 12 კრებული.

Აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ უეზდები შემდეგ დროებში ზოგი გაიყო და ზოგის ნაწილები სხვებს შეუერთდა.

Აი ის გადასახადი მრევლისაგან, რომელიც Ტფილისის გუბერნიისათვის იყო დადგენილი 1818 და დამტკიცებული 1819 წელს.

Რასაკვირველია, ამ შტატის დებულებაში სხვა და სხვა ცვლილება მოხდა ცხოვრების მოთხოვნილებით და გარემოებით. Მაგალითად ეხლა მღვდლების სასარგებლოდ გლეხები იძლევიან მარტო ხორბალს ან სიმინდს და ქერს; აგრეთვე თვითოეულ სამრევლოში კომლობა გამრავლდა. Მაგრამ საფუძველი დებულებისა კი ისევე დარჩა და წესი გადახდისა ისევე ძველია.

Ყველა ვინც კი დააკვირდება, ადვილათ ნახავს რომ ბევრი გამოსარკვევი რამ არის ამ დებულებაში; მაგალითად ზოგ უეზდებისთვის დადებულია მღვდელ-მოქმედებისათვის ტაქსა, ზოგისათვის კი არ არის. Ამას გარდა მოხსენებულის შეძლებული ამდენი გადეხადოსო და შეუძლებელი ამდენიო. Რომელს უნდა დაერქვას შეძლებული და რომელს შეუძლებელი — ამის გამრჩევი მღვდელი და ერის-კაცი უნდა გახდეს, ვაჭრობა გაიმართოს და აბა წარმოიდგინეთ რამდენი უსიამოვნება უნდა მოჰყვეს ამასა. Ამაზე მომატებული ამბავი კიდევ პურის შეკრებაზეა.

Საზოგადოდ ამ გვარი ცნობების გამოცხადება Იმერეთის, Სამეგრელოს, Გურიის და საკუთრად უეზდების სამრევლოების გამოსაღების და გადასახადის შესახებ ძალიან საინტერესო იქნებოდა. Ჩვენ ამ ცნობების მეტის შეკრება ვერ მოვახერხეთ და ეს ერთად ერთი დებულება 1819 წლისა Ტფილისის გუბერნიის შესახებ.

Მთავრობის დებულებას გარდა საინტერესო იქნება ის ცნობები, რომელიც არის ამ ჟამად სხვა და სხვა სამრევლოებში ადათათ დადებული. Დრომ და გარემოებამ სხვა და სხვა ადგილის სხვა და სხვა დებულების შეცვლა იცის და მის ნაცვლად ადათის შემოღება იცის. Საინტერესოა ვიცოდეთ, სად როგორი კანონის დებულება იყო და ახლა როგორ შეცვლილა.

Ამ გვარი ცნობების შეკრება და გამოაშკარება გაზეთებში დაახლოვებს და დაეხმარება საჭირო ცვლილების შემოღებას და სასარგებლო იქნება სამღვდელოებისთვისაც და მრევლისათვისაც. Სასურველია რომ ყველამ იმას ყურადღება მიაქციოს.

---

ყანაში ჩავვარდი, ან რა სარწმუნოებისანი უნდა იყვნენ ეს ხალხი?!

Იქნება მკითხველსა ჰგონია, რომ მე ამას იმისთვისა ვწერ, რათა გავალაზათიანო ჩემი საუბარი და ვიგონებ რასმე? Მე თქვენ გარწმუნებთ, ჩემო მკითხველო, რომ ერთი სიტყვა, ერთი ამბავი არ არის დაწერილი ისე, რომ ან არ დამეკლოს რამე და ან არ შემემსუბუქებინოს. Ვინ შესძლებს მოხევეების უბედურობისა და იმათი სხვა-და-სხვა მოხელეთა წოდების სიმახინჯის სრულათ და უკლებლათ აღწერას?.. Ყველა სისაძაგლე, რომელსაც ჩაიდენენ ხოლმე მღვდელ-ბლაღოჩინები და სხვა მოხელეები რომ გაიგონოთ, ყურებში ხელს დაიცობდით და ისე შეაჩვენებდით იმათ მომქმედს.

Სოფ. სტეფან-წმიდაში იყო ერთი მღვდელი Ი., რომელმაც იქამდინ არ იკოდა საღმრთო წერილი, რომ ნათლობის მაგიერათ კინაღამ ჯვარი გადასწერა ქალსა — Ო. Ყ. და კაცს Ს. Ა—შვილს, რომლებიც ერთად ნათლამდნენ Დ. Ყ—ს ბავშვს. Და მხოლოთ მღვდელმა მაშინ გაიგო თავის შეცდომილება, როდესაც წიგნში იმ ადგილამდინ მივიდა, სადაც რიგია გვირგვინების გამოტანა!

Აქვე არის მღვდელი Ბ. Მ—ძე, რომელმაც ჯვარის-წერის დროს, შემოსილმა, ჩხუბი ასტეხა, Ს. Ყ. ვალანძღა ისეთის სიტყვებით, რომ ამ სიტყვების წარმოთქმაც ერის კაცს ქუჩაშიაც გაუჭირდება. Არამც თუ ეკკლესიაში.

Ამავე მღვდელმა ისევ შემოსილმა და კიდევ ჯვარის-წერის დროს კრივი გამართა შიგ საყდარში ერთს ყმაწვილ-კაცთან.

Ს. Სტეფან-წმიდაშივე შიგ საყდარში ჩხუბი მოხდა Ჩ. და Ვ—ს შუა და მიზეზი ამისი იყო ისევე ეს მღვდელი, რომელსაც უნდოდა ჯვარი იმისათვის დაეწერა ვინც უფრო გვიან მოვიდა და ფულს-კი მეტს აძლევდა. Ამ შემთხვევაში მღვდელ-დიაკვანი უშვერის პირით ილანძღებოდნენ და კრივშიაც ჩაერეოდნენ, თუ რამდენიმე უფრო დამშვიდებულს კაცს არ დაეშოშმანებინა.

Სოფ. სიონის მღვდელმა ძალათი ჯვარი დასწერა Ლ — ანთ ქალს Დ—იანთ ვაჟზედ, რომლის გამოისობითაც ეს ქალი ეხლა წარმოუთქმელს სატანჯველში ჰყავს ქმარსა, რადგანაც სურს გადაახდევინოს უარის თქმისათვის.

Ს. Სტეფან-წმიდის ღვდელმა, ბლაღოჩინის ბძანებით, ისეთს ქალს დასწერა ჯვარი, რომელიც მცირე წლოვანი იყო და არც კანონისაგან ჰქონდა ჯვარის-წერის ნება და თითონ ქალისათვისაც, უეჭველია, მავნებელი იქნებოდა ასე ადრე გათხოვება.

Მე ვგონებ ეს მაგალითები სრულიათ ხატავენ მღვდლების მოქმედებას და მკითხველს აღარ ეჭირება კიდევ მაგალითების მოყვანა იმათ უწესო მოქმედებაზედ და იმათ ცხოვრებაზედ.

Მაგრამ ეს ყველა ბლაღოჩინის Ბ. Ი. ბრალია, რომელიც სარგებლობს მღვდლების გაუნათლებლობით, და თითქო სასიამოვნოდ მიაჩნია მღვდლების და დიაკვნების ერთმანეთზედ წასისინება: ღვდლებს მართვენ ერთმანეთზედ საჩივარს და რადგანაც ათასი მაგალითები შეუძლიანთ ერთმანეთზედ წარადგინონ და დაუმტკიცონ ერთმანერთს თავიანთ უწესო მოქმედება, ამისათვის ჩაუცვივდებიან ხოლმე ბლაღოჩინს ხელში. . . .

Თუმცა ბლაღოჩინი იქამდინ ეჯავრებათ მღვდლებს რომ დღესვე დიდის სიამოვნებით გადააყენებდნენ და ორს ამორჩევაზედ სხვა მღვდელი ამოირჩიეს ბლაღოჩინათ, მაგრამ მაინც რაღაც მანქანებით ისევ Ბ. Ი. რჩება ბლაღოჩინათ. Თითქო ამ პირზედ არც საჩივარი იყოს, არც სამართალი! Რაც უნდა სჩადის გადაუხდევინებლათ, რევს მთელს ხევის სამღვდელოებას; ათას უწესოებას ახდენს, მაგრამ გამოქნილი ყველგან და ყველაში უნებლიეთ რჩება.

Არ შემიძლიან ყურადღება მიუქცეველი დავაგდო Ბ. Ი—ს საყდრების გაცარცვა და ძველისგან-ძველი მხატრობების შეღებვა სხვა და სხვა ფერად.

Სოფ. სტეფან წმი—დის პირდაპირ, Ყინვარის ძირში იმყოფება მშვენიერი თლილი ქვით ნაკეთები მონასტერი, რომელიც, ხალხის სიტყვით არის აშენებული დაუვიწყარი Თამარ-მეფისაგან. Ეს ეკკლესია ახლაც სიმდიდრე, სიამაყე არის მოხევე ხალხისა და წარმოიდგინეთ უწინ რა იქნებოდა?... Აქ იყო ხოლმე თემის ყრილობა, აქ გადასწყვეტდნენ თავიანთ საქმეებს, აქ გაასამართლებდნენ მომჩივრებს და არც ერთი მოხევე არ გაბედავდა წინაალმდეგობა გამოეჩინა აქ გადასყვეტილის ხალხის ნებისათვის*) Ახლა, მართალია, ამ მონასტერმა დაკარგა თავისი ძველებური მნიშვნელობა, მაგრამ მოხევეებს მაინც დიდათ სწამთ იმისი სიძლიერე; ასე რომ როცა გაუჭირდებათ გვალვისაგან, თუ გადამეტებულის ავდრისაგან, მაშინვე ამ წმინდი სამების მონასტერს უნდა მიმართონ.

Ამ წმ. სამების მონასტრისათვის ზერგეტლებს, რომელთაც ჩაბარებუ-

---

* ეს მონასტერი არის მშვენიერათ თლილის ქვით ნაკეთები და თითონ ეკკლესიის გარეთ არის კიდევ საზჭო, რომელშიაც თემი შეიყრებოდა ხოლმე რომელსამე საქმეზედ. Ამის გარეთ არის კიდევ ისეთი თლილის ქვით ნაშენები ოთახი და ზედ სამრეკლო აყვანილი. Სამრეკლოს ერთს ქვაზედ რაღაც აწერია ქართულათ, მაგრამ სრულებით წაშლილია.

ავტ.

## ახალი ამბები

—

გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი უზენაესი ბრძანება:

სახელმწიფო რჩევამ სახაზინო ეკონომიის და კანონების შეერთებულ დეპარტამენტებში განიხილა კავკასიის კომიტეტისაგან გადაცემული საქმე, მ. ი. უ. კავკასიის ნამესტნიკის წარდგენილობისამებრ, სამეგრელოს ეპარხიის საეკკლესიო მიწების ხაზინისადმი გადაცემის თაოპაზედ და დაადგინა:

1) სამეგრელოს ეპარხიის კუთვნილი საეკკლესიო დასახლებულნი და ცარიელი ადგილები, ქვემო ხსენებულთ (მუხ. 2) გარდა, სამუდამოდ გადაეცეს ხაზინას, იმ რიგად, რა რიგადაც გადაცემულ იქმნენ 13 ნოემბრის 1869 წ. და 4 აგვ. 1871 უზენაესის ბრძანებათამებრ ამ ნაირივე მამულები ქართლის, იმერეთის და გურიის ეპარხიისა.

2) ეპისკოპოსის სახლისათვის, მონასტერთა და სამეგრელოს ეპარხიის ეკკლესიებისათვის დანიშნული სხვა-და-სხვა გვარი ექვსას ოცი ნაკვეთი (სტატია) და მიწები, რომელიც მოხსენებულია კავკასიის უმაღლეს მთავრობისაგან წარმოდგენილს ორს სიაში, ისევ სასულიერო უწყებას დარჩეს, იმ პირობით, რომ სამეგრელოს სამრევლო ეკკლესიებისათვის დანიშნულს 188 ნაკვეთებისა და მიწები ამ ეკკლესიებს მხოლოდ იმისთანა მიწები მიეზომოსთ, რომელნიც გლეხების სანადელო მიწას არ შეადგენენ.

3) ამ ჩამორთმეულ მამულების მაგიერ სასულიერო უწყებას სამეგრელოსას ეძლიოს ყოველ წლივ, შეუცვლელად, ოცი ათასი მანეთი ნახევარ-ნახევარ წლობით.

4) სამეგრელოს საეკკლესიო ქონებათა გამგეობის მზრუნველის თანამდებობა გაუქმდეს.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, გუშინ კვირას ღამით გაუქურდავსთ მეოთხე ოტდელის (ავლაბრის) მომრიგებელი სასამართლო. ქურდებს, როგორც გვითხრეს, 2,000 მანეთის ნივთები და ფული წაუღიათ. ამ საქმის გამოძიება მინდობილი აქვს გამომეძიებელს ხოსროევს.

ამ წლის განმავალობაში ეს მეორე სასამართლოა, რომ გაჰქურდეს; ამას წინათ მეორე ოტდელის მომრიგებელი სასამართლო გაჰქურდეს, რომლიდამაც, როგორც გვახსოვს, აგრეთვე 2,000 მანეთამდინ ფული და ნივთები წაიღეს.

* * *

სიცხეები არ ისპობა ქალაქში. ღვთის მანანასავით მოველით ზეციდამ წვიმას, მაგრამ არ იქნა, ვერ ვეღირსეთ. ბალახი ხმება, აქა-იქ ხეების ფოთლებსაც სიყვითლე შემოეპარა.

## წერილი რედაქტორთან

—

ჩვენი სოფელი ჩუმლაყი არცერთ სხვა სოფელს სიღნაღის მაზრისა არ ჩამორჩება არა-რომელიმე მხრით. მაგრამ უბედურები იმითა ვართ, რო არ გვივარგა მამასახლისი და ამის გამო ყოველს კეთილს წარმატებასა ვართ მოკლებულნი. სხვა სოფლებში სხვა-და-სხვა ახალი წყობილებაა თუ ბანკი, თუ სკოლა, თუ გზები და სხვ. მაგრამ ჩვენი მამასახლისი კი (სოინან-უასუმოლლი) არის გამარჯვებული მარტო სადილებზედ, შემწვარ ვარიების მირთმევით და წითელი ღვინით მოგრძო ყელით და ცხვირის გაწითლებით. თუმცა ბევრი რამ უწესოება არის ამის უვარგისობით და უყურადღებობით ჩვენს ჩუმლაყში, მაგრამ ვითმენდით; და ეხლა კი ძლიერ გაჭირება მოგვადგა და იმისთვის გატყობინებთ, იქნება საიდგანმე წამალი დაგვედოს ჩვენ, გლეხებს.

თითქმის ერთი თვე იქნება რაც ჩვენს სოფელში საქონლის ჭირი განჩდა, ეხლა ძრიელ გაძრიერებულია და ვილუპებით მთელი ხალხი და ჩვენი ყურის-მგდებელი არავინ არის.

ნეტავი ჩვენც თან არ გავყვეთ საქონელს, თორემ იმათ ვინ იჩივლებს. ბატონო, ჭირიან საქონელს ვსჭამთ „სოინანას“ წყალობით. ამბობენ, ვითომც მამასახლისის-ძმისწულს აბარია ოსოშვილის სამი წლის დეკეული მოჰკვდომოდეს ჭირისაგან; მამასახლისმა თავის ურმით მოატანინა და სოფელში გაჰყიდა, ზოგი სამუშაოზედ დაარიგა; თუმცა მედუქნემ დუქანში არ მიატანინა, მაგრამ გარეთ დეკეულის პატრონის ეზოში გაასაღეს! მეც უნდა მეყიდნა, მაგრამ ფული არა მქონდა, რა ვიცოდი—ჭირიანი იყო, თუ არა, შემდეგ აქა-რქა[illegible] დეკეულის პატრონს ელაპარაკნა: დავკალით, თუმცა ფეხები არ გაუქნევია, სისხლი კი გამოუვიდაო.

მამასახლისის მიბაძვით, ვისაც კი ეხოცება, აქაო და მსუქანიაო, მოაქვთ სოფელში ზოგს მუქთათ არიგებენ, ზოგს სამუშაოზედ იაფად აძლევენ, რადგანაც ხორცის სიძვირეა: ჭამეთო, თუ მამასახლისი ჰყიდის, ჩვენ რაღა ვართო!

იმ დღეს ერთ ალაგას დავესწარი და ჩვენმა მღვდელმა ილაპარაკა ბევრი რამ და ესეც სთქვა: „ძრიელ მაწყენი არის ჭირიანი საქონლის ხორცის ჭამა და შეიძლება ეგ ჭირი ხალხზედაც გადავიდეს და ხალხის ჭირი გაჩნდესო; საქონელი ჭირით მკვდარი უნდა გაუტყავებელი სოფელს გარეთ დაიმარხოს ღრმათაო.“ ეხლა კი ამის გამგონეს რაღა მაჭმევს, თუნდა ცალიერი პურის მეტი რომ არა მქონდეს რა და მშიერსაც სული ამომძვრეს!..

აი, ჩვენის სოფლის შეწუხება, იმიტომაც გწერთ, რომ გაიგონ ჩვენი შეწუხება და წამალი დაგვადოს რამე.

გლეხი ბუილა.

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** ინგლისური გაზეთების სიტყვით, იქაურ სამინისტროს 4 აგვისტოს გადაუწყვეტია დაჩქარებით გაგზავნოს ირლანდიაში

---

ლი აქვსთ ეს საყდარი, მთელს ხევში და თრუსოს ხეობაშიაც კი კომლზედ ყოველ წლივ, თითო მათარა **) ქერს აძლევენ....

სწორეთ განსაცვიფრებელი არის იმ ეკკლესიის აშენება, რადგანაც იმ ადგილში სათლელი ქვა არ არის და არც ურმის გზა, საიდგანაც უნდა მოეტანათ. მაგრამ ხალხის ძალას და რწმუნებას რა არ შეუძლიან გააკეთოს?! ერთათ თავ-მოყრილი ხალხი, შეერთებული ერთი გრძნობით, რომელ ძალას შეებრძოლება, რომ არ ღერიოს?! უკანასკნელი ხუთს ვერსზედ, უგზო-უკლოთ, ალმა ქვას ეზიდებოდნენ, ორს ვერსამდისინ წყლის მანძილი იქნება, და ახლა კიდევ წარმოიდგინეთ საიდგან სად მოტანილი იქნებოდა?!...

ამ ჯაფით და წვალებით აუშენებიათ ეს ეკკლესია მოხევების მამაპაპას და დაუგდია თავიანთი შთამომავლობისთვის, რომ ამ უკანასკნელებს არ დავიწყებოდათ თავიანთი წინაპარნი, იმათი ძალა და საქმეები, ის ერთობა და კავშირი, რომელიც ძნელს ადვილებს და თვითეულისთვის შეუძლებელს შეძლებულთათვის შესაძლებელათა ხდის.

ეს საყდარი შიგნიდგან იყო შემკობილი მშვენიერი მხატვრობით და ნამეტნავათ კაცის თვალს იზიდავდა პირი ღვთისა, სურათი, რომელიც თავის სიდიდით მთელს გუმბეთსა ჰფარავდა. საუბედუროთ, დროებამ, ავდარმა და ქარიშხალმა შეარყია ეს საყდარი და რამდენიმე ქვა შესძრა. ამისთვის ხალხს მოუვიდა სურვილი, რომ ეს სახსოვარი თავიანთის წინაპრებისა, ისევ გაემაგრებინათ და ამაზედ სთხოვეს ხევის ბლაღოჩინს შემწეობა მიეცა და იმათი პატიოსანი სურვილი უმაღლესის მთავრობისათვის ეცნობებინა. შეიტყო არქიერმა, დასტური დასცა და ფულის მოსაგროვებელი წიგნიც ჩააბარა ბლაღოჩინს. მოგროვდა ფული, ხალხმაც იკისრა შველა, ყველა თანაგრძნობით მოეკიდა ამ საქმეს; მაგრამ რა გამოვიდა? ბლაღოჩინს თავში მოუვიდა, რომ ის მშვენიერი მხატვრობა თეთრათ კირით შეეღება და რასაც ყველაზედ მეტათ გამაგრება ეჭირებოდა, შერყეულს ქვებს, ყურიც არ ადევნა! წარმოიდგინეთ, რომ ამისთანა უმეცრების ხელში არის ჩვენი ძველებური სიმდიდრე და ესენი უწყალოთ ღუპავენ იმას, რაც ქვეყნის და ხალხის თავ მოსაწონი სიმდიდრე არის და რასაც სხვა ქვეყნებში მარჯვენა თვალსავით გაუფთხილდებოდნენ.

მაგრამ განა ამითი გაათავა ბ. ხევის ბლაღოჩინმა? არა. იმან საჭიროთ დაინახა, რომ ყველა საყდრებიდგან და მონასტრებიდგან ყოველისფერი ვერცხლეული ჩუმათ მოეგროვებინა და გაეგზავნა სადა და ვისთვის? ის ეხლაც არ იცის ხალხმა. რომ წმინდა სამებაში დიდი ოქრო ვერცხლეული იყო, მაგას ლაპარაკი არ უნდა, ამიტომ რომ აქ სტავროპოლიდგანაც კი მოდიან მლოცველები და ხევში ხომ კაცი არ დარჩება, რომ ათ ჯერ მაინც არ წავიდეს იქ სალოცავად და არა მიართოს რა წმინდა სამებას; მაშასადამე, დიდ-ძალი ნივთეულობა უნდა მოგროვებულიყო ამ ადგილას, ნამეტნავათ თუ იმას ვიანგარიშებთ, რომ ეს სიმდიდრე XII საუკუნიდგან გროვდება ამ მონასტერში. ეს სულ წაიღო, როგორც მოგახსენეთ ხევის ბლაღოჩინმა, ყველასაგან ჩუმათ და ფარულათ!

თუ ეგ უმაღლესი მთავრობის ნება იყო, რატომ პირდაპირ არ გამოაცხადა და ნივთების აწერაში გარეშე პირი მაინც რატომ არ დაისწრო?.... განა იმის საკუთრება იყო, რომ ეგრე მიჰქონდა?

წაიღეს ეს ამოდენა სიმდიდრე, ძველებური ნივთები, რომელსაც ხალხისთვისაც და ისტორიისათვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ვინ იცის რომელს ოქრო მჭედელს მიჰყიდეს 25 კ. მისხალი?! ეხლა ხანს ამ ნივთების მაგიერათ სამი ხატი მოგვივიდა, რომლებიც სულ ერთად 150 მ. (თუთხმეტს თუმანზედ) მეტათ არ ეღირება. ამ ხატების მოსვლაზედ გამოაშკარავდა, რომ მ. ხევის ბლაღოჩინმა იმისათვის მოაგროვა ეს ნივთები, რათა იმათი ნაფასურით ხატები გაეკეთებინათ და გამოეგზავნათ. ხევის საყდრების სიმდიდრე ნუ თუ 150 მ. მეტი არ იყო? სასაცილოც კი არის, სწორეთ გითხრათ!

მაგრამ სხვა რა სიკეთე აყრიათ მღვდელ - ბლაღოჩინებისაგან მოხევეებს, რომ მაგაში კანონიერათ და სვინიდისიანათ მოქცეულიყვნენ.

უსწავლელნი, გაუნათლებელნი, რომელთაც არც თავის მნიშვნელობა ესმისთ, არც ის მოვალეობა, რომელიც თავის-თავზე მიუღია სასულიერო წოდებას. ხევის მღვდლები გამოსულან ხალხში, იმ ხალხში ვისაც თითქმის ველურ ხალხათ ვუყურებთ ყველანი და უნდა ასწავლონ სახარების ჭეშმარიტება და უჩვენონ გზა მართალი!!!

. . . . . . . .

ეშველება როდისმე იმათ?... შველით, რასაკვირველია, ეშველება, მაგრამ ვაი ეს არის, რომ

„სანამ პეტრე მოვიდოდაო,
პავლეს ტყავი გააძვრესო“!.

ა. მოხსუბარიძე.

(შემდეგი იქნება)

**) საწყაო, რომელშიაც ერთს ფუთნახევრამდინ ქერი ჩადის.

ავტ.

დიდძალი ჯარი, რადგანაც იქ არეულობას მოელიან.

—

ამ საგნისავე შესახებ გაზეთს „სტანდარს“ პლიმუტიდამ სწერენ: დევენპორტის ზღვის ჯარის კაცნებს უბრძანეს, რომ მოემზადნონ ირლანდიაში წასასვლელად.

ჩატამიდამ იმავე გაზეთს აცნობებენ, 5 აგვისტოს აქაურს ჯარის კაცების ბატალიონს უეცრად ებრძანათ, რომ ისინი მზად იყვნენ ირლანდიაში გასალაშქრებლადო. ამ ბატალიონში რვა-ასი კაცია.

—

დუბლინიდამ აცნობებენ ერთს ლონდონის გაზეთს, აქ გავრცელდა ხმაო, რომ ირლანდიაში დიდ-ძალი თოფ-წამალი შეაქვთო იდუმალ.

—

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს გრევის, სენატის თავს-მჯდომარეს ლეონ სეს და დეპუტატთა პალატის თავს-მჯდომარეს გამბეტტას შერბურში სამხედრო ფლოტი დაუთვალიერებიათ.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუზარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., ვერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, ზომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი—ყელის და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუზარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის ბაბოევი - გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი - შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბ ა ბ ა ე ვ ი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორო ჟ უ რ ა ვ ლ ე ვ ი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ო ბ რ ე ს ტ ი ავათმყოფეას, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

# განცხადებანი

—

შემთხვევით ისყიდება

## ადგილი

რომელზედაც ამ ჟამად ბაღია გაშენებული და რომელიც სამოსახლოთ გამოდგება. ეს ადგილი მდებარებს წყლის-პირა ქუჩაზედ, საზაფხულო კრუჟოკთან, სიგრძით 17 საჟენი და სიგანით 50 საჟენი. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გაიყოს და ისე გაიყიდოს.

ფასისა და დაწვრილებით პირობების შესატყობლად მსურველს შეუძლიან მიმართოს ბ. ლიპინსკის, ელისაბეტის ქუჩაზე, სახლის № 132.

(10—3)

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confianse*

შეადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

— — —1—20 — —1—60
— — —1—40 — —1—80
— — —1—60 — —2— „
— — —1—80 — —2—50
საუკეთესო—2— „ — —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—3)

ამ ოთხშაბათიდამ, 30 იელისიდამ იწყება გაკოტრებულ **ძმების ჯანჯულაზოვების საქონლის გასყიდვა.**

გასყიდვა იქნება მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ჯანჯულაზოვების გასტრონომიულ მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. მუხრანსკის სახლებში.

(3—3)

## პატენტიანი ურნები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუზ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—33)

## შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ხლა 2 მაეთად ღირს.

(100—23)

სამზღვარ-გარეთის [illegible] სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვაძლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

საკუთრივ

## სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS FARISIÉNNES*’-ის

ფ ი რ მ ი თ

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედეულობთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, ავეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

## ერთის წლის ანგარიში
## ყვარლის გამსესხებელ - შემნახველის ამხანაგობისა

1879 წლისა 1-ს იანვარს 1879 წლისს იყო:

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 1,147—36. | გასესხებული — — | 4,173— „ |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 3,224— „ | დაშთენილი: ნაღდი ფული— — — | 570— 7. |
| სათადარიგო თანხა — | 215—60. | | |
| წმინდა მოგება — — | 156—11. | | |
| სულ — | 4,743— 7. | სულ — | 4,743— 7. |

1879 წელში

| შემოვიდა. | | გავიდა. | |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 413—21. | წილის ფული — — | 96—27. |
| სარგებელი აღებული გასესხების დროს— — | 381—24. | მოგება წილზედ 1878 წ. | 16— „ |
| ჯარიმა — — — — | 55—61. | გასესხებული ფული — | 3,228—20. |
| დაბრუნებული ნასესხი ფული — — — — | 2,434—80. | მმართებლობაზედ— — | 65—88. |
| სათადარიგო თანხა — | 18—67. | ალებ-მიცემისა — — | 94—43. |
| სულ — | 3,303—53. | სულ — | 3,500—78. |

იანვრისათვის 1880 წლის არის:

| | | | |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 1,464—30. | გასესხებული ფული — | 4,966—40. |
| სასარგებლოდ შემოტანილი ფული — — | 3,224— „ | დაშთენილი: | |
| სათადარიგო თანხა — | 234—27. | ნაღდი ფული — — | 372—82 |
| წმინდა მოგება — — | 416—65. | | |
| სულ — | 5,339—22 | სულ — | 5,339—22 |

გამგებელნი: მიხეილ მელიქოვი
ნიკოლოზ მირზიკა შვილი
დავით რუსია-შვილი.

(3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ 4 Августа 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი